ხელშეკრულება N 12

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი

01 02. 2013 წელი

სსიპ **„საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“** (შემდგომში - **„შემსყიდველი“**) წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით, და შპს **„ალტა“** (შემდგომში - **„მიმწოდებელი“**) წარმოდგენილი დირექტორის **ირაკლი კაკაბაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“** ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.6 „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული 2 (ორი) ცალი მობილური ტელეფონის მიწოდება
(CPV-32252000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1698.00 (ათას ექვსას ოთხმოცდათვრამეტი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

5. მიწოდებული საქონლის ხარისხი

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და დანართ N1-ში გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

5.2 მიწოდებულ საქონელზე გარანტია ვრცელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებენ შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი ან/და პირთა ჯგუფი, ან კონკრეტულ შემთხვევებში მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს სპეციალური ცოდნის მქონე სპეციალისტი (ექსპერტი).

6.3 ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **ჯაბა ხმალაძე**.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში, თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.4% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარი
უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლი
აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამის
ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ
შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი
წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ
უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით
განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013
წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლი და მე-10 მუხლის 10.2 პუნქტის მოქმედების ვადა განისაზღვროს
ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 5.2 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვამდე.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან
ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

15.2 ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და
განიხილება მასთან მთლიანობაში.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ **საფინანსო-ანალიტიკური სამსახური**
მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16
ტელ: 032 226 1392, 032 226 1095.
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა,
კოდი 220101222, სკ-204577813

მიმწოდებელი

შპს „ალტა“
მისამართი: ქ.თბილისი, საბურთალოს ქ N35
ტელ: 0322111855,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N GE83BR0000000006467370
სს „ბანკი რესპუბლიკა“, კოდი 220101757, სკ-211380691

დანართი N

შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი
1	2	4	5	6	7
მობილური ტელეფონი (**Samsung I8190 Galaxy S III Mini Metalic**)	Blue 8GB 3G 4.0" 800x480 AMOLED 5MP Android v4.1 WiFi	1	699.00	699.00	შპს „ალტა“ ბელიაშვილის ქ. N8
მობილური ტელეფონი (**HTC Windows Phone 8X Black**)	720 x 1280, 4.3", Dual Core Krait 1.5GHz, Windows 8, 3G	1	999.00	999.00	

სულ: 1698.00 ლარი

შემსყიდველი

მიმწოდებელი